CPV 44600000 ტენდერი NAT220004771

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №26

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2022 წლის 28 მარტი

ქ. დუშეთი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

" ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვიხ შესახებ" (შემდგომ ---- "ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად, განხორციელებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას) , რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

"მიმწოდებელი "ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს სავარაუდო ღირებულებას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

"დღე" "კვირა" "თვე" ნიშნავს კალენდარული დღეს, თვეს, კვირას, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები;

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთი მხრივ, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორს- კლარა თანდილაშვილს (ორგანიზაციის მისამართი : ქ. დუშეთი ,რუსთაველის ქუჩა №27, ს/კ 229325101, სახაზინო კოდი - 0401, ელ-ფოსტა - skolamdeliaRzrdiscentri@yahoo.com)

და მეორე მხრივ, შპს „ელ შოპის" დირექტორს- გივი სამადაშვილს,მისამართი: ქ.თბილისი,ლარეხის II შეს, #14,ს/კ 402080029,მომსახურე ბანკი- სს საქართველოს ბანკი, ბ/კ BAGAGE22,ა/ნGE93BG0000000525738360,ელ-ფოსტა:giga_samadashvili@yahoo.com)შორის.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად, აუქციონის გარეშე განხორციელებული ელექტრონული ტენდერის NAT220004771 ჩატარების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, შემდეგზე:

3.ხელშეკრულების საგანი:

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ა.ა.ი.პ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი #3 ფილიალისათვის გათბობის ქვაბისა და გათბობოს ქვაბის ნაწილების შესყიდვა თანმდევი მომსახურებით(არსებულის დემონტაჟი / ახლის მონტაჟით); შესასყიდი ობიექტების მიწოდების თანმდევი მომსახურებით ბოლო ვადაა 2022 წლის 4 აპრილი.მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე-ქ.დუშეთი,აღმაშენებლის ქ.#79.

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ხელშეკრულებას ახლავს დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

3.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი 44600000 .

4. ხელშეკრულების ღირებულება:

4.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 19888(ცხრამეტი ათას რვაას ოთხმოცდარვა)ლარს.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან და თანმდევ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს (ტრანსპორტირება,დაზღვევა,გადასახადები და სხვა).

5.მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია: ხელშეკრულების პირობების დაცვით ტექნიკური დავალების შესაბამისად განახორციელოს შესასყიდი ობიექტების მიწოდება და თანმდევი მომსახურება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ვარგისიანობაზე.იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა , ვარგისიანობასა და დროულობაზე .

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და არ იქნება მოხმარებისათვის უვარგისი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია 1 წლის ვადაში აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით, დამკვეთის მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება -ჩაბარების წესი

6.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება ფილიალების დირექტორებსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული "მიღება - ჩაბარების" აქტის ან შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენისთანავე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ფილიალის დირექტორი და ცენტრის ბუღალტერია.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და არ იქნება მოხმარებისათვის უვარგისი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხარვეზი უნდა აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით, დამკვეთის მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში .

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება - ჩაბარების აქტების, სასაქონლო ზადნადების და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე, შემდგომი გადახდის პირობით, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

9.3 ანგარიშწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა,ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.

10.2 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11..2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11..3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა.

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა

13. ფორს – მაჟორი:

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები,რომლებიც დამოუკიდებულნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მან უნდა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%_ის ოდენობით, არაჯეროვანი შესრულებისათვის(მათ შორის , ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0,02%_ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, დარჩენილი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 2% _ის ოდენობით.
14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში, მას დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.
14.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის,მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების

ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
14.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა:

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული, ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების არიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ , აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი:

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე,რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადა გრძელდება 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.
17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17.3 ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს:

ა) შესასყიდი ობიექტების განფასებული ფასების ცხრილი.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი:
ა.(ა).ი.პ „დუშეთის მუნიციპალიტეტის	შპს „ელ შოპის“
სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“	(ს/კ 402080029)
დირექტორი: გ.ფარფალეიშვილი	დირექტორი: გ.სამადაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

CPV 44600000 ტენდერი NAT220004771

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2022 წლის 28 მარტი №26 ხელშეკრულების დანართი №1

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	Cpv კოდი	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი	მოდელი
1	დასადგმელი ქვაბი 232 კვტ/სთ	ცალი	1	8000	8000	44620000	თურქეთი	MİMSAN MAKİNA LTD. ŞTİ.	MKBG-200
2	გაზის სანთურა 120-300 კვტ/სთ	ცალი	1	6000	6000	44620000	იტალია	C.I.B. Unigas S.p.A.	NG 280
3	საცირკულაციო ტუმბო მუშა წერტილი: Q Max = 17,3მ3/სთ; H Max = 12,1მ	ცალი	1	1600	1600	44620000	ჩინეთი	Zhejiang Qiantao Pumps Co.,Ltd	QH20-15K
4	საცირკულაციო ტუმბო მუშა წერტილი: Q Max = 2,5მ3/სთ; H Max = 2მ	ცალი	1	1000	1000	44620000	ჩინეთი	Zhejiang Qiantao Pumps Co.,Ltd	QH4-6K
5	ბალანსირებადი ჰიდროისარი -180000 კკალ/სთ	ცალი	1	1000	1000	44620000	თურქეთი	EKIN INDUSTRIAL	DN80
6	დამხმარე მასალები			400	400	44620000			
7	სამონტაჟო მომსახურება			1888	1888	44620000			
	სულ ჯამი				19888				

შემსყიდველი ორგანიზაცია:

ა.(ა).ი.პ „დუშეთის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“

დირექტორი- კ.თანდილაშვილი:

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მიმწოდებელი:

შპს „ელ შოპის“

(ს/კ 402080029)

დირექტორი: გ.სამადაშვილი